საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია — დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 15,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი ხუთ. მანეთი

პარასკევი, ოქტომბრის 2[illegible]
1921 წ.

## საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიის დრ. მთავარი კომიტეტი იწვევს ქ. ტფილისში პარტიულ ყრილობას

ა. წ. ოქტომბრის 30 ს.

განსახილველი საკითხები:

1. დრ. მთავარ კომიტეტის მოქმედება—მომხსენებელი ამხ. თედო ღლონტი.
2. მოხსენებანი ადგილებიდან.
3. პარტიის უახლოესი პრაქტიკული მიზნები—მომხ. ამხ. პარმენ ჭანიშვილი.
4. საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო—მომხს. ამხ. თ. ღლონტი.
5. საბჭოთა რუსეთის მდგომარეობა—ფაკულტეტიური მოხსენება—პროფ. შ. ნუცუბიძე.
6. ინტერნაციონალი—მომხსენებელი ამხ. სიმონ ხუნდაძე.
7. საბჭოთა სისტემა—მომხსენებელი ამხ. ვახტანგ კოტეტიშვილი.
8. პროფკავშირები და კოოპერაცია—მომხს. ამხ. ეფრემ ჩახუნაშვილი.
9. ახალგაზრდათა ორგანიზაციის საკითხი—მომხს. ამხ. სერგო ამაღლობელი.
10. წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლა.
11. მთავარი კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

ყრილობაზე გადამწყვეტი ხმით დელეგატი გამოიგზავნება მხოლოდ პარტიის წესდების მე-23 მუხლის მიხედვით. ქალთა, ახალგაზრდათა და პროფესიის წარმომადგენლებს მიეცემათ სათათბირო ხმის უფლება.

ყრილობაზე დელეგატები იგზავნება 100 წევრზე ერთი. თუ ორგანიზაციას არა ჰყავს სრული ასი წევრი, მაინც გზავნის ერთს დელეგატს.

ყრილობა გაიხსნება პარტიის ცენტრალურ ბიუროში (ლორის-მელიქოვის № 1) საღამოს სრულ 7 საათზე.

## მენშევიკური ნეიტრალიტეტი

მენშევიკური მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის გამორკვევას არ აქვს გადამჭრელი პრაქტიკული მნიშვნელობა საბჭოთა საქართველოსათვის და სრულიად არ ძალუძს შესცვალოს ჩვენი ერის თანამედროვე პოლიტიკური ხაზი. მიუხედავად ამისა წარსული პოლიტიკური გეზის შესწავლა და მისი ობიექტიური გამოკვლევა არ არის მნიშვნელობას მოკლებული და ერთხელ კიდევ მოგვცემს საშუალებას მშრომელ ხალხს დავანახოთ ის გზები, რომლითაც სცდილობდა მენშევიკური მთავრობა საქართველოს ხსნას. მაგრამ მენშევიკების მთელს საგარეო პოლიტიკას სავსებით იზიარებდნენ მემარჯვენე ს. ფედერალისტები, ნაციონალ-დემოკრატები და სხვები, ასე რომ მენშევიკური მოღვაწეობისა და მათი საერთო პოლიტიკის გეზის შეფასება საშუალებას მოგვცემს საქართველოს სხვა პარტიების პოლიტიკური ორიენტაციის შეფასებისათვის.

როგორც ვიცით მენშევიკებმა თავიანთი პოლიტიკის მთავარ საფუძვლად ნეიტრალიტეტის პრინციპი აირჩიეს და ყოველ მათ ნაბიჯებს ამ პრინციპით ამართლებდნენ. ბოლოდ მუდმივი ნეიტრალიტეტის პრინციპი საფუძვლად დაედვა საქართველოს კონსტიტუციას, რაც დამფუძნებელმა კრებამაც დაადასტურა და მიიღო.

თუ ჩვენ განყენებულად მივუდგებით საკითხს უნდა ავღიაროთ, რომ ნეიტრალიტეტის პოზიცია თანამედროვე გართულებულს პირობებში, როცა ორი მსოფლიო გიგანტი ებრძვის ერთმანეთს სავსებით მისაღებია პატარა ერებისათვის. პატარა ერის ფიზიკური ენერგია ვერ გიტანს იმ საშინელ ომის პროცესებს, რომელიც შესაძლებელია მოხდეს მებრძოლ მხარეთა შორის თანამედროვე უმაღლესად განვითარებულ ტეხნიკის ხანაში. ასეთს ომებში ჩარევა და აქტიური მონაწილეობის მიღება პატარა ერებს ფიზიკური განადგურებით ემუქრება. არსებობისა და ცხოვრების ინსტიქტი ასეთს პირობებში პატარა ერებს ნეიტრალიტეტის პოზიციის დაცვას უკარნახებს. ეს ასეა და ცხოვრების მკაცრ ლოღიკას ვერვინ გაექცევა.

მაგრამ ზოგადი მოსაზრება კონკრეტიულს პირობებში სულ სხვაგვარ სახესა და შინაარს ღებულობს, აბსტრაქციის სილრმეში გაყინული ცნებები მშობლიურს ნიადაგზედ დამდგარი სხვაგვარი ფორმით წარმოდგება ჩვენს წინ და ცხოვრების საერთო მიმდინარეობა მას თავისი ელფერით მოსავს. ზოგადათ მისაღები ნეიტრალიტეტის პოზიცია სრულიად გამოუსადეგარი ხდება თანამედროვე სოციალ-პოლიტიკური ვითარებისათვის. კონკრეტიულად მუდმივი ნეიტრალიტეტის პირწმინდათ დაცვა დღევანდელს პირობებში შეუძლებელია. ეს სავსებით დაგვიმტკიცა ჩვენ მენშევიკურ საქართველოს მდგომარეობამ. პრინციპიალურად ნეიტრალიტეტის პოზიციაზე მდგარი მენშევიკური საქართველო, არსებითად გამარჯვებულ ანტანტის გავლენის ორბიტაში იყო მოქცეული და ევროპის იმპერიალისტების კარნახის ქვეშ იმყოფებოდა. მენშევიზმმა ვერ შესძლო მუდმივი ნეიტრალიტეტის დაცვა საქართველოში და ეს შეუძლებელიც იყო, ერთის მხრით, იმ პოლიტიკური გეზით, რომელსაც მენშევიკური პარტია ადგა ჩვენში და მეორეს მხრით შექმნილ საერთაშორისო სოციალ-პოლიტიკური კონიუქტურის გამო.

სიტყვით ნეიტრალიტეტი, საქმით გამარჯვებულ მოკავშირეების მხარეზე დგომა—აი რა ახასიათებდა მენშევიკების მოღვაწეობას.

ნეიტრალიტეტის პრინციპი თავისი განცხადების პირველ დღესვე დაიმსხვრა რეალურ სინამდვილის მაგარ კლდეზე და მთელი ჩვენი ცხოვრება იმ წრეში მოექცა, რომელსაც მეთაურობდა გამარჯვებული კაპიტალისტები.

თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა ორი დიამეტრალურად საწინააღმდეგო კლასის, ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ბრძოლის სარბიელს წარმოადგენს. ამ ბრძოლას მეთაურობენ საბჭოთა რუსეთი და იმპერიალისტური ანტანტა. საბჭოთა რუსეთის მიზანია მოსპოს კაპიტალიზმის ბატონობის საფუძვლები, განადგუროს კაპიტალისტური ექსპლოატაციის ყოველგვარი ფორმები და ნიადაგი ჩაუყაროს ახალს სამართლიან სოციალურ ურთიერთობაზედ აგებულ წყობილებას. ანტანტა ამის საწინააღმდეგო მიზნებით გამოდის და რევოლიუციონური ძალების დამსხვრევით (საბჭოთა რუსეთის და სხ.) სცდილობს აღადგინოს კაპიტალისტური მეურნეობა და მთელი მსოფლიო თავისი ბატონობის ქვეშ დაამყაროს. თანამედროვე ბრძოლის მთავარი მომენტები და მთელი მისი შინაარსი ამ ორი საერთაშორისო ძალთა მიზნების დაპირისპირებით ხასიათდება. ბრძოლა ღებულობს სამკვდრო-სასიცოცხლო შინაარს და არ არის არც ერთი კუთხე მსოფლიოში, სადაც არ ხდებოდეს სისხლის მღვრელი შეტაკებანი ამ ორ ძალთა შორის. რევოლიუცია, და იმპერიალიზმი იბრძვის ყველგან და მას ვერც ჩვენი სამშობლოს ნიადაგი ასცდა. საქართველო ერთგვარი რგოლია, რომელიც ოთხის მხრით აერთებს საერთაშორისო გზებს და აზიისა და ევროპის პატარა შემაერთებელ ხიდს წარმოადგენს. ასეთი მნიშვნელობიანი ტერიტორიალური ერთეული, შეუძლებელი იყო ასცდენოდა საერთაშორისო მებრძოლ ძალების თვალებს და ევროპის იმპერიალისტები თავიდანვე გამოეშურნენ ამიერ-კავკასიისაკენ, რომ ადგილობრივ ძალების დახმარებით მაგარი კედლები აღემართად რუსეთიდან მომავალ რევოლიუციონურ მოძრაობისათვის აზიაში.

როგორც ვიცით, რუსეთის კომუნარები ორი მთავარი გზით სცდილობდნენ კაპიტალისტური ევროპის მოსპობას: ერთი გზა მიემართებოდა პირდაპირ ევროპისაკენ, მეორე კი სააზიო პოლიტიკაში გამოიხატებოდა. გამარჯვებულმა ანტანტამ პირველი გზით პატარა ერების სიმაგრე დაახვედრა რევოლიუციას და მათი მხარის დაჭერით ერთგვარი „სანიტარული კორდონი“ აღმართა რევოლიუციისა და იმპერიალიზმს შორის. მეორე მიმართულებით კოლჩაკ-დენიკინ-დუტოვის კონტრ-რევოლიუციონური რკალი შემოარტყა და საგრძნობლად დააშორა აღმოსავლეთის ბაზას. ამგვარად საბჭოთა რუსეთს კონტრ-რევოლიუციის განმტკიცებული ჯაჭვი შემოარტყა ანტანტამ და არ მისცა მას გასაქანი. ამ ჯაჭვში ერთი მნიშვნელოვანი რგოლის ადგილი უნდა დაეჭირა ამიერ-კავკასიას და საქართველოს და გადაეჭრა რევოლიუციის სავალი მნიშვნელოვანი გზები აზიისაკენ. ამ მიზნების განსახორციელებლად ანტანტის აგენტები გამოეშურნენ ამიერ-კავკასიისაკენ და შეუდგნენ ნიადაგის სინჯვას. როგორი პოზიცია დაიჭირა მენშევიკურმა მთავრობამ ამ დროს და რა პირობები აღუთქვა ევროპიელებს?

ამ დღეებში ჩვენს პრესაში გამოქვეყნდა საყურადღებო დოკუმენტები ჩვენი ყოფილი მთავრობის შესახებ და იქ ვპოულობთ მენშევიკების მოღვაწეობის დამახასიათებელ ცნობებს ჩვენ ამ დოკუმენტებიდან მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტს მოვიყვანთ.

ამერიკის წარმომადგენელი ეკითხება ჩვენი მთავრობის რწმუნებულს ბ. დ. ოდიშელიძეს: „ჩვენ მოსურნენი ვიქნებოდით გაგვეგო, შეგიძლიათ თუ არა თქვენ სარგებლობა მოუტანოთ ინგლისსა და მაშასადამე ჩვენს ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში და წესრიგის დასამყარებლად“. ამ შეკითხვის საპასუხოდ რწმუნებული აცხადებს, რომ მას არ აქვს თავისი მთავრობის პირდაპირი მითითებანი, მაგრამ თავისი მხრით ფიქრობს: „ჩვენი რესპუბლიკა მთელი საშუალებებითა და ძალებით დაეხმარება შეთანხმების სახელმწიფოებს ბოლშევიკებთან ბრძოლაში და წესიერების დამყარების საქმეში“. (იხ. დაწვრილებით „კომუნისტი“ № 196). ყველას კარგათ მოეხსენება, კონკრეტიულად რას ნიშნავდა ამ შემთხვევაში ბოლშევიკების საწინააღმდეგო დახმარება და ევროპის იმპერიალისტების მიერ წესიერების ჩამოგდება მთელს მსოფლიოში. ყველა ამ განცხადებებისა და შეპირების შემდეგ ყოფილი მთავრობის რწმუნებულს გამბედაობა აქვს განაცხადოს, რომ „ჩვენ გვსურს მშვიდობიანი შრომას ჩვენს ეროვნულ საზღვრებში ჩვენი მიწისა და ბუნებრივი სიმდიდრეთა დამუშავებე, მუდმივი ნეიტრალიტეტის დაცვა და სხვა“.

„მუდმივი ნეიტრალიტეტი“ და „ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლა ინგლისელებთან ერთად“, „მშვიდობიანი შრომა“ და იმპერიალისტური, „წესრიგის დამყარება“, ეს წინააღმდეგობანი არამარტო რწმუნებულის დამახასიათებელია, ეს ახასიათებს მენშევიკური მთავრობის მთელს პოლიტიკას. სიტყვით ნეიტრალიტეტი, საქმით იმპერიალიზმთან ერთად რევოლიუციის წინააღმდეგ,—აი მენშევიზმის ბუნებრივი სახე და მისი პოლიტიკური სკრედო.

მენშევიზმმა უდიდესი დანაშაული ჩაიდინა რევოლიუციის წინაშე არა იმით მარტო, რომ დიდი დეზორგანიზაცია და განხეთქილება შეიტანა მუშათა წრეებში, იმითაც, რომ მუშათა მოტყუებული ნაწილი რეაქციის ძალებთან ერთად დაუპირისპირა რევოლიუციას და სასიკვდილო მახვილის ჩაცემა მოუნდომა მას.

ჩვენ კარგად გვახსოვს ბ. ევ. გეგეჭკორის განცხადება გენერალ ალექსეევთან: ჩვენ სხვა და სხვა გზებით ერთ წერტილში ვცემთო. ეს წერტილი რევოლიუცია, მხოლოდ სხვა და სხვა გზებით გაცვეთილ „დემოკრატიზმისა“ და მონარქიზმის შარა-გზით მიემართებოდა. რუსეთის რევოლიუციამ ორივე ამ გზას მოუსპო არსებობის საშუალებანი. ამ მტკივნეულმა ოპერაციამ თან გადაიტანა მენშევიკური ორპოფული პოლიტიკაც.

სიმონ ხუნდაძე

## სესხი, ბურჟუაზია და მუშათა კლასი

ბრიუსელის კონფერენციამ მოხდა, მოვიაზრებთ მისი განაჩენიც რუსეთის დამშეულთა შესახებ და მის შემდეგ მაინც ნათელია მთელი ქვეყნის მშრომელი კლასისათვის, თუ როგორი ზღვარი ძევს ბურჟუაზიის სიტყვასა და საქმეს შორის. მან ლოიდ-ჯორჯის პირით საჯაროდ განაცხადა, რომ ის არ გამოიყენებს რუსეთის დაშეულ ბავშვებისა და ქალების სიმშილს, პოლიტიკურის მიზნებისათვის. და ბრიუსელის კონფერენციაზე მან გადასწყვიტა ასეთი დახმარება აღმოუჩინოს ვოლგის რაიონის დამშეულებს, მაგრამ ერთის პირობით: საბჭოთა რუსეთმა უნდა იცნოს ძველი ვალები, იმპერატორისა და მისი ამალის ძველი ნისიები, აღებული ევროპის ბანკირებისა და კაპიტალისტებისაგან. უკეთ რომ ვსთქვათ, ბრიუსელის კონფერენცია ეუბნება ვოლგის დამშეულებს: მოგცემთ ერთ ლუკმას, რომ ათასი ლუკმა გამოგგლიჯოთ პირიდან, დაგეხმარებით დროებით, რომ სამუდამოთ კლანჭებში გვეჭიროს მთელი რუსეთი, რომ ვოლგის გარდა დავამშიოთ ას ოცი მილიონი რუსეთის მცხოვრებლებიც. რამოდენიმე ათეული მილიონების კრედიტის სახით გაღებით უნდა ბურჟუაზიამ მილიარდები დაიბრუნოს იმავე რუსეთის დამშეულ გლეხებისა და მუშებისაგან. მაგრამ უკეთ რომ ვსთქვათ, იგი ამას არც ფიქრობს და არც მოელის ასეთი ოცნებების ამჟამად განხორციელებას. ეს მხოლოდ მოტყუვაა იმისათვის, რომ სესხზე უარი ეთქვას რუსეთის დამშეულებს, ეს მხოლოდ ფარისევლური ფორმაა იმ გულქვაობის დასაფარავად, რომელსაც იჩენს სასაკლაოდან ახლად დაბრუნებული საერთაშორისო ბურჟუაზია. სხვათა შორის ეს ფარისევლობა და თავის კეთილშობილად მოკატუნება, არც ისე მოხერხებულად გამოდის, რომ მან თავის მიზანს მიაღწიოს. დღეს მთელი ქვეყნის მუშათა კლასისათვის ცხადია, რომ ბრიუსელის კონფერენციამ უარი უთხრა რუსეთის დამშეულთათვის დახმარებაზე, რომ, როგორც ნანსენი ამბობდა, საერთაშორისო ბურჟუაზიამ ერთი დრედნოუტის ღირებულებაც კი არ გაიმეტა ოცი მილიონ ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად. ყველაზე უფრო სათუთს საკითხში გამოიჩინეს მხეცობა იმპერიალისტებმა ანგარით მოყვარეობა. შეიძლება ეს უფრო აჩქარებდეს მათ გაბრუნებას ისევ სასაკლაოსაკენ, საიდანაც კაპიტალისტურ წყობილების მესვეურთ დაბრუნება არ უწერია.

მაგრამ კაცობრიობას აქვს მეორე მხარე, მეორე თვისება, რომელიც მას დაღუპვისაგან არჩენდა და პროგრესისაკენ მიაქანებდა.

უნარი განვითარებისა იყო ის დინამიკური ძალა, რომელიც ჰქმნიდა ახალ იდეებს, ცხოველმყოფელ სოციალურ კატეგორიებს დრომოჭმულ კლასების და იდეების ადგილას დასაყენებლად. ეს თანდაყოლილი უნარი უბრუნებდა კაცობრიობას ადამიანობის დამახასიათებელს იმ ჩირაღდანს, რომლისოდაც მის არსებობას აზრი და შინაარსი დაეკარგებოდა. მიბეჟუჟულ კაცდელს კვლავ ხელს კიდებდა სიცოცხლის წიაღიდან ამოსული კლასი და ცხოვრებაც წინ მიიწევდა. ასე არის დღესაც.

ეკონომიურად დაცემულ, ზნეობრივად გახრწნილ ბურჟუაზიის მაგიერ, მოვიდა ჯანღონით სავსე, ახალი იდეალებისა და შემოქმედების მატარებელი კლასი—საერთაშორისო პროლეტარიატი და საზოგადოთ მშრომელნი. და როცა დაისვა საკითხი ადამიანის სათუთ გრძნობებისა და ზნეობის გადასარჩენად, ამ კლასმა პირველად აღიმაღლა ხმა და რეალური ნაბიჯებიც გადადგა. ჯერ არ ნახულ უბედურებას, რომელიც სიმშილის სახით თავს დაატყდა ვოლგის რაიონის გლეხობას, საერთაშორისო მუშათა კლასმა დახმარების ხელები გაუწოდა. ღარიბ ჯიბეებიდან ამოღებული კაპეიკები, უკვე საგრძნობელ თანხად ქცეული, მოდის დღეს რუსეთის დამშეული გლეხობას. მაგრამ ეს ცოტაა. საერთაშორისო მუშათა კლასი თავის საუკეთესო წინამძღოლების ხელმძღვანელობით აპირებს დახმარების უფრო ინტერნაციონალური მაშტაბით მოწყობას.

გაზეთებმა მოგვიტანეს ცნობა იმის შესახებ, რომ კომუნისტ ბომბაჩის მეთაურობით სდგება ახალი, ქვეყნისთვის ჯერ არ ნახული, საერთაშორისო მუშათა სესხის გამტარებელი ორგანიზაცია. პროექტი შემუშავებულია და რეალური ნაბიჯებიც გადადგმულია მის შესასრულებლად. პროექტი მიზნად ისახავს ჩააბას სესხის საქმეში ყველა ქვეყნის ფაბრიკა-ქარხნის მუშები კომისიების სახით, კოოპერატივები, პროფკავშირები და სხვა მუშათა კოლექტივები. ერთისიტყვით განზრახულია მთელი ქვეყნის მუშათა კლასი ჩააბან ამ დიდი საქმის მოსაგვარიანებლად. საკითხი ჯერ კიდევ ორგანიზაციულ მუშაობის პროცესშია და არ შეგვიძლია საბოლოვოდ მისი განხორციელების კონკრეტიული ფორმები შევაფასოთ. მაგრამ ჩვენთვის ცხადია, რომ პროექტი გადვიძებული მუშათა მასების სრულს თანაგრძნობას მოიპოვებს, რაც მთავარი პირობა არის ამ შემთხვევაში.

სესხის გატარებას უხელმძღვანელებს მესამე ინტერნაციონალის სექციები სხვ. და სხვ. ქვეყნებში, რაც იმას გვიჩვენებს, რომ მას საკმაო ხელშემწყობი პირობები დაუხვდება, როგორც ბურჟუაზიის, აგრეთვე მათი მონათესავე მეორე და ორნახევარ ინტერნაციონალის მხარიდან.

ჩვენთვის ნათელია, თუ რა უდიდესი პოლიტიკური და მორალური მნიშვნელობა ექნება მუშათა სესხის საერთაშორისო ზომით გატარებას. მთელი ქვეყნის მუშათა კლასი პირველად მოიყრის თავს ერთი აზრისა და ერთი ფიქრის განსახორციელებლად—მშიერ მოძმეთა დასახმარებლად. უმნიშვნელო არ არის მუშათა კლასისათვის თუ ვინ ითამაშებს ამ უდიდეს შემკრებელობის როლს და ამიტომ საფიქრალია, რომ ამსტერდამის ყვითელი ინტერნაციონალი არ მოისვენებს და ეცდება მისთვის ზღუდეების შექმნას. მაგრამ საერთაშორისო მუშათა მოძრაობისათვის მით უფრო დიდი მნიშვნელობას ითამაშებს ასეთი უტაქტო გამოსვლანი ყვითელი პირისფერებისა.

რუსეთს ბურჟუაზიამ უარი უთხრა სესხზე, მაგრამ მუშათა კლასი ჰპირდება ამ სესხის მიცემას. თუ რა მნიშვნელობა აქვს რევოლიუციისათვის საბჭოთა რუსეთს, სესხის საკითხში სიმპტომატიური დაპირისპირება საერთაშორისო მაშტაბით ყოველივეს ცხადყოფს.

დღეს რუსეთი რევოლიუციის სიმაგრეა და მისი გამაგრება საერთაშორისო მუშათა კლასის ვალია, ამიტომ იგი მას მუცდელებლად სესხს მისცემს.

რუსეთი კონტრრევოლიუციის საფლავია და ამიტომ ბურჟუაზია მას სესხზე უარს ეუბნება.

ყოველივე გასაგებია.

ეფ. ხაჩიშვილი.

## ახალი ამბები

— ხალამი ლევ ტოლსტოის მოსაგონებლ დ. დღეს, 28 ოქტომბერს კონსერვატორიის დარბაზში შესდგება საღამო ლევ ტოლსტოის მოსაგონებლად ინება წაკითხული მრავალი საუკეთესო ადგილები დიდი მწერლის ნაწარმოებიდან და სხვათა შორის შესანიშნავი მისი წერილი ნიკოლოზ მეორესთან. მონაწილეობენ: ილია ნაკაშიძე, პეტრე უშაკოვი, პოეტები: იური დეგენი, რიურიკ ივნევი და სხვ. დასაწყისი ს. ღ. 8 საათ. ბილეთები მუსიკალურ მაღაზიაში სუზანჯიანთან, და საღამოს დღეს კი 6 საათიდან კონსერვატორის შესავალში.

— მუშათა კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ლოლოშვილმა და მისმა მოადგილემ ამხ. არუსტანოვმა საქართველოს რუსეთის საგენტოს თანამშრომელს შემდეგი განუცხადეს: მუშების დასასახლებლად იყო სულ 68 სახლი, რომლიდანაც დღეს განთავისუფლებულია მდგმურებიდან და დასახლებულია მუშებით 60 სახლი. დანარჩენი 8 სახლი დასაცლელია. კიდევ ირიცხება დასაცლელად 20 სახლი. მუშების დასახლება ხდება. ამნაირად ყველა მდგმურები ისეთი სახლებისა, რომელიც უნდა დაიცალოს მუშებისათვის გადასახლებული უნდა იქნან გარდა ერთი ექიმისა, რომელიც მუშათა სახლში დარჩენისას ღებულობს ვალდებულებას უფასოთ უმკურნალოს ამ სახლში მდგომ მუშებს, და სახლის პატრონის. სახლის პატრონი იძლევა პირობას გაუკეთოს სახლს წვრილი რემონტი და დღემდე არ იყო შემთხვევა, რომ სახლის პატრონი არ დარჩენილიყოს თავის სახლში. გადასახლების ტეხნიკა ასეთია: უმეტეს წილად გადასასახლებელი ხდება საბჭოთა მოსამსახურენი გადასახლების დროს ამ კატეგორიის ხალხს ეძლევა უკეთესი ბინა. მეორე კატეგორიას ეკუთვნის არა საბჭოთა მოსამსახურენი,მაგრამ რომელთაც ჰყავთ ოჯახში ავათმყოფები, ამათ ეძლევათ შეძლებისდაგვარად კარგი ბინები. მესამე კატეგორიის გადასასახლებლათ ეკუთვნის მოვაჭრენი, სპეკულიანტები და პარაზიტული ელემენტები.

## საქ.-სოც. ფედ. სარ. პარტიაში

კრება ჩუღურეთში. შაბათს 29 ოქტომბერს ადგილობრივ ბიუროს შენობაში (წმ. ნიკოლოზის ეკლესიის ეზოში) შესდგება ჩუღურეთის რაიონის მცხოვრებ სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის წევრთა საერთო

კრებაზე. ასარჩევია პარტიულ ყრილობაზე დასასწრებლად დელეგატები. კრება დაიწყება საღამოს სრულ 6 საათზე და ამიტომ ამხანაგებს ვსთხოვთ ყველამ ზედმიწევნით დაესწრნენ ხსენებულ დროს.

—

დღეს 28 ოქტ. საღამოს 5 საათზე ვერის უბნის ბიუროში დანიშნულია ვერის უბნის ამხანაგების საერთო კრება ასარჩევია დელეგატები ყრილობისათვის. სავალდებულოა ამხანაგების გამოცხადება აღნიშნულ დროზედ.

—

შაბათს 29 ოქტომბერს 3 საათზე ცენტრალურ ბიუროში დანიშნულია კოოპერატივეში მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. ამხანაგები მოვალენი არიან გამოცხადდენ აღნიშნულ დროზე.

—

**პარტიული სამკითხველო.** 30 ოქტომბრიდან ჩვენს პარტიულ ბიუროში (ლორის-მელიქოვის ქ. № 1) გაიხსნება პარტიული სამკითხველო. სამკითხველომ შეიძინა სხვა და სხვა წიგნები, მათ შორის ახლად გამოცემული პოლიტიკური წიგნებიც, წიგნები გაიცემა მხოლოდ პარტიის წევრებზე. სამკითხველოში არის რუსეთის და ჩვენი ქვეყნის ყველა მნიშვნელოვანი პერიოდული გამოცემები. სამკითხველო ღია იქნება საღ. 6—9 საათამდე.

—

საორგანიზაციო სამეული ამით აცხადებს, რომ დღეიდან სამეულის მდივნის ნახვა შეიძლება პარტიის ცენტრალურ ბიუროში (ლორის მელიქოვის ქ. № 1) დილის 9—3 საათამდე.

# მწერალთა კავშირში

კვირას ოქტომბრის 23 პოეზიის სასახლეში (სერგიევის 13) შესდგა ყრილობა სრულიად საქართველოს ახალი მწერლობის კავშირისა.

ყრილობის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა გერონტი ქიქოძე, მდივნად მიხ. აბრამიშვილი. ყრილობას „ცისფერი ყანწების" სახელით მიესალმა პაოლო იაშვილი, რის შემდეგაც მოსმენილ იქნა ტიციან ტაბიძის მოხსენება სრულიად საქართველოს ახალი მწერლობის კავშირის ორგანიზაციის შესახებ. მოხსენებას ყრილობა ღებულობს ერთხმად. შემდეგ ყრილობა ამტკიცებს კავშირის შემდეგ წევრებს:

გრიგოლ რობაქიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, ნიკო ლორთქიფანიძე, შალვა აფხაიძე, ნიკოლოზ მიწიშვილი, გერონტი ქიქოძე, პავლე ინგოროყვა, ვახტანგ კოტეტიშვილი, მიშა აბრამიშვილი, სანდრო ცირეკიძე, გიორგი ლეონიძე, სანდრო ყანჩელი, შალვა ამირეჯიბი, ალი არსენიშვილი, იოანე ყიფიანი, შალვა კარმელი, რაჟდენ გვეტაძე, გრ. ცეცხლაძე, კონსტ. ჭიჭინაძე, ლადო ჯაფარიძე, გრ. ჯაფარიძე, სერგო კლდიაშვილი, ლადო მაჰავარიანი, აკაკი ბერეკაშვილი, ერთაწმინდელი, გიონ საგანელი, ტერენტი გრანელი, რაჟდენ გოგოხია, ინბანი.

გარდა ამისა ყრილობამ დაამტკიცა კანდიდატები.

დასასრულ არჩეულ იქნა კავშირის გამგეობა და სარევიზიო კომისია. გამგეობაში არჩეულ იქნენ შემდეგნი პირნი: გრ. რობაქიძე, გერონტი ქიქოძე, პავლე ინგოროყვა, ვახტანგ კოტეტიშვილი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, კონსტ. ჭიჭინაძე, ინბანი.

კანდიდატებათ: შალვა კარმელი, გრ. ცეცხლაძე.

სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნენ: მიხ. აბრამიშვილი, აკ. ბერეკაშვილი, ერთაწმინდელი.

—

იმ ქონების ჩასაბარებლად და წესში მოსაყვანად, რომელიც შესწირა მირზოევმა რესპუბლიკას ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მატერიალურ ფონდისათვის, დანიშნულია საგანგებო კომისია, რომელშიაც შედიან მთავარი სახელოვნო კომიტეტის წარმომადგენლები: ს. აბაშელი და შალვა აფხაიძე და მუზეათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელი.

ინსტიტუტის გამგეთ დანიშნულია პავლე ინგოროყვა.

# რუსეთი

„საზღვარგარეთელი რუსები" ბურცევის გაზეთს Общее дѣло-ს სწერენ; კონსტანტინეპოლში ამერიკა კვებავდა 17,000 რუსსა. ამ დღეებში როცა გაისმა მთელ მსოფლიოში რუსეთის დამშევის ამბავი, ოსმალეთში დატრიალდა უმაგალითო ტრაგედია. 8 სექტემბერს გაერთიანებულმა კომიტეტმა რუსეთის საზოგადოებრივ ორგანიზაციებისამ მიიღო ამერიკის წითელი ჯვრის დირექტორისაგან ოსმალეთში მაიორ დევისისაგან შემდეგი წერილი: „ჩვენი მთავარი გამგეობის ღონისძიებით თქვენ მოწყალეობა შეწყდება, უნდა გაცნობოთ. რომ პირველ ოქტომბრიდან იძულებული ვართ უსახსრობისა გამო დავითხოვოთ ყველა ჩვენი წარმომადგენლები და დავხუროთ ყველა დაწესებულებანი".

— რუსეთის განათლების კომისარმა გრინბერგმა ბერლინში ჩამოსვლისას „Ost-Express"-ის წარმომადგენელს განუცხადა, რომ ის ჩამოვიდა რამდენიმე პროფესორის თანხლებით საზღვარ გარეთ, რომ მოაწყოს განყოფილება რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობისა, რადგანაც წიგნების ბეჭდვას რუსეთში დიდი გასაჭირი ელოდება. ამის შესახებ „ვორვერტსი" სწერს „ჩვენ არ შეგვიძლია ვუსაყვედუროთ რუსეთს ასეთს კულტურულ განზრახვისათვის მაგრამ ჩვენ უნდა სასტიკი პროტესტი გამოვუცხადოთ დაწესებულებას და გამომცემლობის დელეგაციის გამოგზავნას, რომელიც უეჭველია ემსახურებიან პოლიტიკურ პროპაგანდას იმ დროს, როდესაც ევროპიელი მუშები უკანასკნელ გროშს სწირავენ რუსეთში შიმშილთან საბრძოლველად.

# უცხოეთი

**პეტროგრადი.** ამბოხება ინდოეთში ვრცელდება. მეამბოხეებმა განაცხადეს სრული დამოუკიდებლობა. მათ მოახდინეს კონფისკაცია პურის მოსავლისა.

**პეტროგრადი.** ინგლისის ინჟინერი მოლაპარაკებას აწარმოებს ლატვიის მთავრობასთან შესახებ უდიდესი რადიო სადგურის აგებისა რიგაში, რომელმაც შეიძლოს მთელ ევროპასთან ცნობების დაჭერა.

**კონსტანტინეპოლი.** გაზეთ „ტეფხირის" ცნობით, ბერძენთა არმიის აფიცრებში უთანხმოება ძლიერდება. ვენიზელოსის მომხრე ოფიცრები ვერ ურიგდებიან მეფის პარტიის ოფიცერთა გავლენის უპირატესობას, რომლებმაც არმიაში დაიჭირეს ყველა უმაღლესი თანამდებობა. ვენიზელოსტები ბრალსა სდებენ მათ ომის წარმოების უცოდინარობაში და პასუხისმგებლობასაც მათ აზვევენ დამარცხებაში.

**ჰელსინგფორსი** 10 ოქტომბერს ჰელსინგფორსში გაიხსნა ფინეთის კავშირის სატრანსპორტო წარმოებების კონფერენცია, რომლებმაც გადასწყვიტეს გამოდა წითელ პროფინტერნაციონალსვლა ამსტერდამის ინტერნაციონალიდან ში შესვლა.

**ვარშავა.** მიღებულ ცნობებიდან, გერმანელმა რაზმებმა რამდენიმე იერიში მიიტანეს ფრანგ ჯარის კაცებზე ნაწილი პოლონეთის მოსახლეობისა. ზემო-სილეზიაში შეიქნა მძვინვარე გერმანელ ჯარისკაცებისა, გამოწვეულ იქმნა ფრანგი ჯარის კაცები, გერმანელები გაიქცენ. ფრანგებმა კონფისკაცია უყვეს გერმანელ რაზმებს წაართვეს მრავალი თოფები, ხელით სასროლი ყუმბარები და სხვ. პოლონეთის პოლიცია აფიცრებთან ერთად უკვე შევიდა ზემო სილეზიის საზღვრებში.

**მოსკოვი.** იტალიის სოციალისტურ პარტიის ყრილობაზე ტურატი არწმუნებდა ყრილობას, რომ არ დაეშვათ განხეთქილობა და ბრალსა სდებდა ლაძარისა და მაფის რომელიც მოითხოვდა რეფორმატორების გაძევებას, უცხოელ მთავრობათა პოლიტიკის გატარებისათვის. რეზოლიუციამ კენჭის ყრის დროს სერატიმ მიიღო 47,628 ხმა. ტურატის რეზოლიუციამ თანამშრომლობის სასარგებლოთ მიიღო 19,916, ხმა ლაძარის და მაფის რეზოლიუციამ, რომელიც ემხრობოდა მე-3 ინტერნაციონალს მიიღო 3,756 ხმა. კენჭის ყრის შედეგის გამორკვევის შემდეგ წაიკითხეს, აცხადება კომ-ინტერნის წარმომადგენლების, რომელსაც ხელს აწერდა ვილემსკი და კლარა ცეტკინი. კონგრესის სხდომების შედეგმა აშკარად დაამტკიცა სოციალისტების კაპიტულაცია რეფორმატორების წინაშე, რომელნიც წარმოადგენენ აშკარა დარღვევას, ზემოთ და ერთსულოვნებით მიღებულ ვალდებულებისას. კომ-ინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის დელეგაციამ მოახსენა რომ კომინტერნის სანქციას შესახებ იტალიის წარმოადგენს მხოლოდ იტალიისა კომუნისტური პარტია.

**ნაუენი.** ერთა ლიგის დადგენილება შესახებ ზემო-სილეზიის გაყოფისა მთელი ქვეყნის აღშფოთებას იწვევს. და გადაწყვეტილათ ამტკიცებენ, რომ ეს დადგენილება გამოტანილი იყო საფრანგეთის ზეგავლენით.

**მოსკოვი.** 23 ლონდონიდან იუწყებიან: ოსმალეთის ჯარებმა დიდი ბრძოლების შემდეგ გაარღვიეს ბერძნების მიერ გამაგრებული ხაზი.

**მოსკოვი.** ამხ. რადეკმა თავის წერილში „საფრანგეთ-ინგლისის ბრძოლა ევროპაში და ვაშინგტონის კონფერენცია" გაზეთ „პრავდის" ფურცლებზე ჩერდება საფრანგეთ-ინგლისის ურთიერთ დამოკიდებულებებზე და ითვალისწინებს შესაძლებლობას საფრანგეთ-ამერიკის კავშირის, რომელიც მიმართული იქნება ინგლისისა და იაპონიის წინააღმდეგ. ეს შესაძლებლობა, რომელიც დიდს მუქარას წარმოადგენს ინგლისისათვის აიძულებს უკანასკნელს წავიდეს საფრანგეთისადმი დათმობებზე. ამხ. რადეკი სწერს: სიმწვავე იმ საკითხებისა, რომელნიც დასმული აქვს წინ ვაშინგტონის კონფერენციას, აიძულებს ინგლისის მთავრობას სერიოზულად მოეპყრას საფრანგეთ-ამერიკის დამოკიდებულებას. გამოცვლა დამოკიდებულებისა ინგლისისა და საფრანგეთის შორის ნიშნავს იმავე დროს პოლიტიკის გამოცვლას რუსეთის მიმართ ამას განსაკუთრებით ყურადღებას აქცევს ამხ. რადეკი:

„თუ საქმე ეხება მხოლოდ შესაძლებლობებს, მაშინ ამ შესაძლებლობებმა უნდა იქონიონ გავლენა ინგლისის პოლიტიკაზე იმ მხრით, რომ ის უნდა წავიდეს დათმობაზე საფრანგეთისადმი. მსოფლიო პოლიტიკით, ისე როგორც მთელი კაპიტალიზმით, მიმდინარეობს კონცენტრაცია ინტერესებისა იმ მხრით, რომ დიდ სახელმწიფოებს უხდებათ შემოიკრიბონ თავისი ძალები სანუკვარ ზრახვათა მთავარ ობიექტებზე. ინგლისელები იყვნენ ყოველთვის წინააღმდეგი ძალის შემქმნელი გერმანიის იმპერიალიზმისა; ისინი იყვნენ ხელოვნები პოლიტიკური კონცენტრაციისა. მსოფლიო ომის შემდეგ, ინგლისმა სცადა ამასთანავე შეეზღუდა საფრანგეთის ტენდენცია ევროპაში პირველობის ჩაგდებისა და მოინდომა შეენარჩუნებია ახლო და შორეულ აღმოსავლეთი. თუ ეს მოხერხდა, ის იძულებული იქნება მისცეს საფრანგეთის იმპერიალიზმს ცენტრალური ევროპა გასაძარცვავად, რათა ამით დაიცვას თავის მდგომარეობა ინდოეთის და წყნარ ოკეანეებში და ცენტრალურ აზიაში. ინგლისი უწინარეს ყოვლისა აზიური სახელმწიფოა და ამიტომ მისგან ასეთი გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია. ზემო სილეზიის საკითხში ემჩნევა ახალი ტენდენცია, რომლის პრაქტიკულად შესწავლა აუცილებელია ჩვენი საგარეო პოლიტიკისათვის.

— საფრანგეთის ჩრდილოეთ რაიონში გაფიცვები გამწვავდა. პროფკავშირების ც. კ. რევოლიუციონური კომისიები არიგებენ ე. წ. „ლენინის მედალს" გაფიცვის კომიტეტს სასარგებლოთ.

— ინგლისში 350 ათასი რეგისტრაციაში გატარებული უმუშევარნი დატოვებულია სახელმწიფოს დახმარების გარეშე, ვინაიდან საამისოდ გადადებული საშუალებანი ამოიწურა.

— გერმანიის მარკა სულ დაბლა-დაბლა იწევს.

— ბრანტინგმა განიზრახა შეადგინოს შვეციაში წმინდა სოციალისტური კაბინეტი, რადგან ლიბერალები უარს არიან შევიდნენ კოალიციაში.

**მოსკოვი.** გერმანიის გაზეთებში გამოქვეყნებულია ოფიციალური ცნობა შესახებ ზემო სილეზიის ნაწილების, რომელიც ჩამოგლიჯეს გერმანიას. პოლონეთს რჩება გერმანეთის დიდი ქალაქები: კატოვიცი, ტარნოვიცი, ლუბლინეცი, რიბნიკი და პლესი. ამ გადაწყვეტილობამ ბერლინში განსაცვიფრებელი შთაბეჭდილება მოახდინა და გამოიწვია მინისტრთა კაბინეტისა და კანცლერ ვირტისადმი უკმაყოფილება. გერმანიის ყველა პარტიების აზრით, ეს გადაწყვეტილება მოკავშირეებისა მიღებულია წინააღმდეგ სალი მოსაზრებისა და ადიარებენ საჭიროებას, რაც უნდა დაჯდეს შეცვლის პირობების მიხწევისას. ზემო სილეზიის ჩამოგლეჯით ერთობ დაეცა გერმანული მარკა. ოკუპაციურ ადგილებში და ოლქებში, დანიის და ბელგიის საზღვრებთან გაჩნდენ ჩარჩები, რომლებიც ყიდულობენ ყველაფერს დაწყებული პირველი საჭიროების საგნებიდან გათავებული სახლებამდე.

— ევროპიული პრესა გაცხოველებული არჩევს ზემო სილეზიის ამბებს. საფრანგეთის ბურჟუაზიული გაზეთები ზეიმობენ მთავრობის პოლიტიკის გამარჯვებას და წმინდა გერმანულ ქალაქების პოლონეთთან შეერთებას.. ინგლისის ეკონომიური წრეები ერთობ უკმაყოფილონი ზემო სილეზიის საკითხის გადაჭრით. ამერიკის გაზეთი „ჩიკაგა ნიუზი" აფასებს რა ზემო-სილეზიის ამბებს სწერს, რომ ვაშინგტონის კონფერენციის მოწვევა განიარაღების მიზნით ხდება ზემო სილეზიის და სხვა გერმანიის ნაწილების რევოლიუციონურ მოძრაობასო. თვით ზემო სილეზიაში მოელიან, საყოველთაო გაფიცვას ნიშნათ პროტესტისა წინააღმდეგ იმისა, რომ წმინდა გერმანული ქალაქების დაპყრობილი ქალაქები გადასცეს პოლონეთს. იგივე გაზეთი იუწყება, რომ იტალიელები და ინგლისელები შიშობენ, რომ შეტაკება მოხდება, არა მარტო პოლონეთსა და გერმანიის შორის, აგრეთვე გერმანელებსა და ფრანგებს შორისაც.

ანტი-ფრანგული და ანტი-პოლონური განწყობილება გერმანელთა შორის იმდენად ძლიერია, რომ შესაძლებელია ომი გერმანიასა და პოლონეთს შორის. იტალია ფიქრობს, რომ საფრანგეთი თავის შურისძიების პოლიტიკაში გერმანიის მიმართ, ერთობ შორს მიიწევს, ამტკიცებენ, რომ ამ უახლოეს მომავალში გერმანია გახდება დიდი მოვლენათა არენა.

— გერმანიის პრესა განაგრძობს დამტკიცებას, რომ ზემო სილეზიის მცხოვრები გერმანიისაკენ მიილტვიან. გერმანელ ოლქებში, რომელიც გადაეცა პოლონეთს, ხალხი მუშაობაზე უარს აცხადებს. კატეგორიულად მთელ ქალაქებში სკოლებზე და სახლებზე გამოფენილია სამგლოვიარო ბაირაღები.

— მთავრობის კრიზისი ვრცელდება. ვირტის წინადადებით მინისტრთა საბჭო გადადგა.

— გერმანიის სოციალისტური პრესა გამოსთქვამს შიშს, რომ ახალი ავანტიურა ყოფილ იმპერატორისა, არის კონტრ-რევოლიუციონური მუქარა ცენტრალურ ევროპისა და განსაკუთრებით გერმანიისათვის გაზეთები მოუწოდებენ გერმანიის მუშებს დიდი სიფრთხილისადმი.

# დეკრეტი № 86.

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა.**

საპატიმროებთან არსებულ ყველა სამკურნალო დაწესებულებათა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში გადაცემის შესახებ:

1. საპატიმროების მთელი სამკურნალო-სასანიტარო ნაწილი გადადის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში, სადაც სამკურნალო განყოფილებასთან არსდება საპატიმროთა სამკურნალო-სასანიტარო ქვე-განყოფილება.

2. ქვე-განყოფილების გამგე ექიმს, დანიშნავს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი, სამკურნალო-სასანიტარო ნაწილის გამგის მიერ წარდგენით, იუსტიციის სახალხო კომისართან შეთანხმებით.

3. საპატიმროთა სამკურნალო-სასანიტარო ნაწილის კრედიტები, როგორც შტატისა, აგრეთვე სამეურნეო ნაწილისათვის უნდა იქნეს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის განკარგულებაში.

4. აღნიშნულ დაწესებულებათა გადაცემის წესი მათი შინაგანი განრიგება განისაზღვრება განსაკუთრებული ინსტრუქციით, რომელსაც გამოსცემს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი, იუსტიციის სახალხო კომისართან შეთანხმებით.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
ს. ქავთარაძე.
რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ. ხალარიძე.

1921 წ. ოქტომბრის 25.
ტფილისი—სასახლე.

# დადგენილება № 87

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონურ კომიტეტისა.**

შრომის სამაზრო და სარაიონო განყოფილებათა დაარსების შესახებ.

მაზრისა, რაიონისა და თემის რევოლიუციონურ კომიტეტების დროებით დებულების შესახებ, ამა წლის აპრილის 15-ს თარიღითა და 23 №-რით, გამოქვეყნებული დეკრეტის მე-7 პარაგრაფის დასადასტურებლად და დასამატებლად, საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. რათა შრომის სახალხო კომისარიატს საშუალება ჰქონდეს სათანადო გეგმის და მიხედვით განახორციელოს მუშა-ხელის აღრიცხვა, განაწილება, გადანაწილება, მობილიზაცია და ნებაყოფლობითი მიზიდვა, ყოველ სამაზრო რევოლიუციონურ კომიტეტთან არსდება შრომის სამაზრო განყოფილება, ხოლო სარაიონო რევოლიუციონურ კომიტეტთან,—საჭიროების დაკვალად,—შრომის სარაიონო განყოფილება. სამაზრო განყოფილება ექვემდებარება უშუალოდ შრომის სახალხო კომისარიატს, სარაიონო განყოფილება კი — შრომის სათანადო სამაზრო განყოფილებას.

შენიშვნა 1. შრომის სარაიონო განყოფილება შეიძლება მოეწყოს მხოლოდ შრომის სახალხო კომისარიატის განსაკუთრებულის განკარგულებით, ყოველი შემთხვევისათვის ცალკე.

შენიშვნა 2. დროებით, ვიდრე საბოლოოდ მოეწყობოდეს მაზრებში შრომის განყოფილებანი, მოვალეობა მათი გამგებლობისა და ორგანიზაციისა დაეკისროს შრომის ადგილობრივ ინსპექტორს.

2. დაევალოს შრომის სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს სათანადო დებულებანი და ინსტრუქციები შრომის სამაზრო და სარაიონო განყოფილებათა უფლებისა და მოქმედების შესახებ.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
ს. ქავთარაძე.
შრომის სახალხო კომისარი
დ. დუმბაძე.
რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ. ხალარიძე.

1921 წ. ოქტომბრის 27.
ტფილისი—სასახლე.

# ქართული სი... ბის საღა...

ორშაბათს, 24 ოქტომბე... ხელოვანთა სასახლეში გაიმა... ზატორ დ. არაყიშვილის ლ... ცერტი: ლექცია—ქართული მ... ქართველთა კულტურა—წაიკითხა ... კომპოზიტორმა. კონცერტში მონა... ლეობდენ: ა. ინაშვილი, ნოვოხატნაია, ს. გაბაშიძე, ზ. სვანიძე, ტრიო ძმ. თაქთაქიშვილების და მაისურაძის გუნდი. მეტად მდიდარი იყო პროგრამა, ღირსეული იყო შესრულებაც.

ფრიად სერიოზულ და შინაარსიან ლექციას მოჰყვა მუსიკა. მრავალფეროვანი დია საქართველოს სინამდვილე, მრავალფერადი და ციური ყოფილა ამ სინამდვილეზე აღმოცენებული ფანტასტიური გუმბათები. ეს ჩვენ ვიხილეთ არაყიშვილის მისტიურ სამეფოში ქართველ ერთან.

არაყიშვილის სიმღერები ქართული სულის პლასტიური მოძრაობაა; ხატება უხილავი, მაგრამ ბრწყინვალებით სავსე მასში არის ჩაწნული ერის სევდა და სიხარული. ეს ამართლებს ავტორის ნიჭს. ჭეშმარიტად ასეთი არის არაყიშვილი როგორც მუსიკოსი; ამას მოწმობს ყოველი მისი სიმღერა. ორივე მგოსნის სიმღერა, გურულ ქალების სიმღერა, შემოდამდება ქართული ცეკვაც. ეს კომპოზიტორი კიდევ მეტია: მას ქართული რასიული რიტმი დაუსაკუთრებია, მას შესაფერისად შეუთანხმებია მუსიკის რიტმი და მეტრი სიტყვის მახვილსა და მეტრთან, მოძრაობასა და ცეკვასთან.

ამიტომ მაღალი იყო განცდები, სიმშვენიერე აბრწყინებდა ყველაფერს, სიხარულმა სილამაზის სამყაროში აიტაცა გული, სიხარულის შუქი მოეფინა დედამიწას, ვარდისფრად დაბინდა ნაცნობი ველი და მთები.

სიხარულის წუთებში ცელქობდა გული. მაგრამ... დადუმდა მუსიკა, იშვა ლტოლვა მუსიკასადმი. ჩვენ გვინდა სინამდვილეს აბრწყინებდეს ჰარმონია და მუსიკალობა, ხშირად იმართებოდეს ასეთი საღამო!..

პ. გურიელი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—დრ. მთავარი კომიტეტი.

**დაკარგე** პარადოქსის მოწმობა მიღებული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტიდან 1 კურსის მსმენელ ზენია გოგიჩაშვილის სახელზე აღნიშნული მოწმობა ჩაითვალოს გაუქმებულად. 44

უნივ. გიმნაზიის გამგე და დამაარსებელი მათემატიკის მასწავლებელი

## ივ. მ. მაჩაიძე
## იღებს მოწაფეებს

მოსამზადებლად ქართული სამხედრო სკოლაში, სხვა და სხვა ტიპის სასწავლებლის ყველა კლასებში შესასვლელად და მოწმობაზე. იღებს აგრეთვე ბავშვების 9—15 წლამდე იძლევა ცალკე გაკვეთილებს მათემატიკაში, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებში.
მისამართი: პლეხანოვის და ალექსის ქუჩის კუთხე № 25/5 ნახვა 3—7 საათ. 15